

მონოფუნქციური ქალაქები დეინდუსტრიალიზაციის შემდეგ  
ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ძველი რუსთავში

ნინო ხარშილაძე

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება  
ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა დემეტრაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემსორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: ნინო ხარშილაძე

ხელმოწერა

თარიღი: 26.06.2020

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში თემაზე „მონოფუნქციური ქალაქები დეინდუსტრიალიზაციის შემდეგ. ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ძველი რუსთავში“ განხილულია საბჭოთა კავშირის პერიოდში ქალაქწარმომქმელი ფაქტორები, ძირითადი ფუნქციები, ეკონომიკური და სოციალური საკითხები - რუსთავის მაგალითზე. ასევე, სამომავლოდ ქალაქის ახალი ფუნქციების და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, მაღალი სიცოცხლის უნარიანი ძალის, სტუდენტების და მათი სასწავლო სივრცის მობილიზება ისეთ ადგილებში, სადაც ერთის მხრივ არსებობს მაღალი პოტენციალი, ხოლო ასევე ხელს შეუწყობს დეგრადირებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს გაჯანსაღებას, ხელახალ გამოყენებას.

საბჭოთა კავშირის დროს ქალაქწარმომქმნელი ფაქტორები ძირითადად მონო-ფუნქციურ, მსხვილ ინდუსტრიულ კომპლექსების და მათ მომსახურე საშუალებები წარმოადგენდა. შედეგად, მონოფუნქციურობა აღმოჩნდა საფრთხე და დამოკიდებულება ქალაქების სიცოცხლის უნარიანობისთვის.

ეს ყოველივე მოგვაგონებს სპექტაკლს, სადაც ყველაფერი შეთანხმებულად და კარგად მიდის, დასრულების შემდეგ კი ყველაფერი და ყველა თავის ადგილს და ნამდვილ ცხოვრებას უბრუნდება. სწორედ ასე მოხდა დეინდუსტრიალიზაციის შემდგომაც ქ. რუსთავის შემთხვევაში. ქარხანამ შეწყვიტა წარმოება, მუშა ხელის უდიდესი ნაწილი კი თავის ქვეყანას, თუ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა. აღსანიშნავია ქალაქგეგმარებითი შეცდომებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დაუშვა, კერძოდ ისეთი ზომის წარმოების შექმნა, რომელიც თვითკმარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულებს მთელი დღის ისე გატარება შეეძლოთ, რომ გარეთ გამოსვლა არც კი დასჭირდებოდათ. ამ ყოველივემ კი გამოიწვია წვრილი გამოყენებების, დამოუკიდებელი ობიექტების სიმცირე ქალაქში, რომელსაც დეინდუსტრიალიზაციის შემდგომ შეეძლო ქალაქისთვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და მძიმე ეკონომიკური პროცესების მსუბუქად გადატანა. კვლევაში ასევე გამოყენებულია

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მომზადებული „უმაღლესი განათლების და სტაჟირების საკითხებზე საქართველოში კვლევის ანგარიში“ 2017. კვლევის ანგარიშმა ცხადყო შემდეგი საკითხები: სტუდენტების უკმაყოფილება და სწავლის სისტემის დასაქმების ბაზართან შეუსაბამობა. ასევე ის ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები, რომლის წინაშეც დგანან რაიონიდან მიგრირებული სტუდენტები, ესაა საერთო საცხოვრებლის სიმწირე, საქირავნო ბაზარის მაღალი ფასები და ნათესავებთან შეფარებულთათვის, ხშირ შემთხვევაში, არა ჯანსაღი სასწავლო გარემო.

ჩატარებულმა კვლევამ გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დაგეგმვის ხარვეზები, რომ არ არის ბუნებრივი პროცესი ქალაქგეგმარებაში ერთი კონკრეტული ფუნქციისთვის გაშენება, რადგან შესაძლოა მის გაუქმება ქალაქის სტრუქტურის რღვევის ერთ-ერთი მიზეზი გახდეს. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას მომავალ ქალაქგეგმარებით პროცესებში. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური საკითხი, კერძოდ კი მოსახლეობის შიდა თუ გარე მიგრაცია, ეკონომიკური ან/და პრესტიჟული მიზნიდველობის ხარჯზე. ასეთი პროცესი იწვევს ადამიანების იდენტობის არ არსებობას გარემოსადმი, რომელშიც უწევთ ცოხვრება, ისინი მას მიიჩნევენ, როგორც დროებით სამყოფს. რუსთავის შემთხვევაში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სწორედ მსგავსი ისტორიით და დამოკიდებულებით იყო განწყობილი ახლად შექმნილი ქალაქისადმი. იდენტობა საფუძველია ქალაქის განგრძობადი სიცოცხლისუნარიანობის, რადგან ქალაქი ადამიანის გარეშე „ბეტონის გროვაა“.

ამასთან სტუდენტების პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ ჯანსაღი, ცოდნისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნას. ამისთვის კი ერთ-ერთი გამოსავალი შესაძლოა იყოს, დაცარიელებულ ქალაქებში არსებული იმფრასტრუქტურული რესურსის სტუდენტური ცხოვრებისთვის და სწავლებისთვის გამოყენება. შედეგად კი გაცოცხლდება არსებული გარემო-ინფრასტრუქტურა, გაჯანსაღდება სოციალურად და ეკონომიკური გარემო ქალაქში, მეორეს მხრივ კი სტუდენტები მიიღებენ პროფესიის შესაფერის ცოდნას და ჯანსაღ საცხოვრებელ თუ სასწავლო გარემოს.

**ძირითადი სამიზნო სიტყვები:** საბჭოთა კავშირის ქალაქგეგმარებითი პოლიტიკა, დეინდუსტრიალიზაცია, საუნივერსიტეტო საცხოვრებელი, კამპუსის დაგეგმვის სტრატეგია, ქალაქი და სოციალური ასპექტები.